ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3938141

ნომერი: AR1594126

თარიღი : 19.04.2018

გაცემის თარიღი : 01.05.2018

გაცნობის თარიღი : 08.05.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა, N 40;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ჯოხიძე პ/ნ 55001003350
- მირიან მეფის 13

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2871960
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 5.10.2016

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

,,ა" ბლოკი-დამატებით წარმოადგინეთ ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ დამოწმებული ,,ბ-გ" მონაკვეთში ბაქნის აზომვითი ნახაზი გაბარიტული ზომების, ნიშნულებისა და დახრის პროცენტის მითითებით. ფასადებზე დამატებით მოწყობილია კონდიციონერები და მსგავსი ტექნიკური დანადგარები, აგრეთვე სატელიტური ანტენები და წყალშემკრები მილები.

,,ბ" ბლოკი-ფასადებზე დამატებით მოწყობილია კონდიციონერები და მსგავსი ტექნიკური დანადგარები, აგრეთვე სატელიტური ანტენები და წყალშემკრები მილები. წარმოადგინეთ ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ დამოწმებული ,,ბ-დ" მონაკვეთში არსებული პანდუსის ანაზომი გაბარიტული ზომების, ნიშნულებისა და დახრის პროცენტის მითითებით. აგრეთვე გადახურვის გეგმის ანაზომი. კონდენციონერები, ანტენები და გამათბობელის აგრეგატები მოეწყოს შეთანხმებული პროექტის შესაბამისად , წარმოადგინეთ კეთილმოწყობის გეგმა ორივე ბლოკისთვის, გამწვანების დატანით. სამანქანო პანდუსი მოიყვანეთ დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაში და წარმოადგინეთ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ დამოწმებული ანაზომი. დამატებით წარმოადგინეთ ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებასთან დაკავშირებით და განაახლეთ ფოტოები.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.